
მეამა
Coffee



რძისფერი ამონათებული პოლიკარბონატი

წარწერები ან გაუმჭვირვალე საღებავით დატანილი, ან დაკიდებული ამოჭრილი ფირფიტა

შეღებილი პროფილირებული ლითონი

გასაცურებელი ფანჯარა

გასაცურებელი ჩასახური კონსტრუქცია

ზედა კონსტრუქციის
სხვადასხვა კუთხით მონტაჟი










ეკამა


MEAMA


Coffee
And love at first sip


ალაგი


MEAMA

СИСТЕМА ДОБРОВОЛЬНОЙ СЕРТИФИКАЦИИ «БЕЗОПАСНОСТЬ И КАЧЕСТВО»

Свидетельство о регистрации № РОСС RU.И559.04.ЖР00

СЕРТИФИКАТ СООТВЕТСТВИЯ

№ ССБК.RU.ПБ33.Н00111 № ПС 006181

Срок действия с 12.02.2021 г. по 11.02.2023 г.

ОКПД2
код ЕКПС
код ТН ВЭД 73089099

ЗАЯВИТЕЛЬ (наименование и местонахождение заявителя)

JSC Panex
Адрес: Red Bridge Highway 17-th km, Georgia, Телефон: +995 591 076 007, Факс: +995 591 076 007
Адрес электронной почты: info@panex.ge

ИЗГОТОВИТЕЛЬ (наименование и местонахождение изготовителя продукции)

JSC Panex
Адрес: Red Bridge Highway 17-th km, Georgia, Телефон: +995 591 076 007, Факс: +995 591 076 007
Адрес электронной почты: info@panex.ge

ОРГАН ПО СЕРТИФИКАЦИИ

ССБК RU.ПБ33 до 12.12.2022 г, Орган по сертификации «ПОЖЭКСПЕРТ», 129344, г. Москва, ул. Искры, д. 31, корпус 1, эт чердак, п II, к 3, оф 85а.

ПОДТВЕРЖДАЕТ, ЧТО ПРОДУКЦИЯ (информация о сертифицированной продукции, позволяющая провести идентификацию)

Панели типа сэндвич стеновые и кровельные с утеплителем из пенополиуретана, торговой марки «WSD», толщина от 40 мм до 200 мм, выпускаемая по технической документации изготовителя. Серийный выпуск.

СООТВЕТСТВУЕТ ТРЕБОВАНИЯМ (наименование национальных стандартов, стандартов организаций, сводов правил, условий договоров на соответствие требованиям которых проводилась сертификация)

ГОСТ 30247.0-94 (ИСО 834-75) «Конструкции строительные. Методы испытаний на огнестойкость. Общие требования», ГОСТ 30247.1-94 «Конструкции строительные. Методы испытаний на огнестойкость. Несущие и ограждающие конструкции». EN 13501-2.2016 (Реакция на огонь в соответствии европейским нормам пожарной безопасности). Предел огнестойкости конструкции составляет EI 60.

ПРОВЕДЕННЫЕ ИССЛЕДОВАНИЯ (ИСПЫТАНИЯ) И ИЗМЕРЕНИЯ

Протокол испытаний № 0187/ТП-19 от 09.02.2021 г., Испытательная лаборатория «ПОЖЭКСПЕРТ», аттестат аккредитации № ССБК RU.21ПБ31 до 12.12.2022 г.

ПРЕДСТАВЛЕННЫЕ ДОКУМЕНТЫ Техническая документация изготовителя.

Руководитель (заместитель руководителя) органа по сертификации
подпись, инициалы, фамилия — С. А. Медведев

Эксперт (эксперты)
подпись, инициалы, фамилия — В. Н. Слугин



KEN İNŞAAT İTHALAT İHRACAT YAPI SAN. ve TİC. LTD. ŞTİ.
www.kenltd.com info@kenltd.com

GRPFIBER -GRP CORRUGATED SHEET TECHNICAL DATA SHEET

Document no / Revision no.date : 2022F601-00/06.22

Product Description : MXUV 1,50 mm trapezoidal translucent GRP sheets

Surface Coating : MXUV (UV Resistance PET Film)



Tüm Ölçüler mm
All Dimensions in Millimeters

TECHNICAL SPECIFICATIONS

	Properties	Test Method	Value / Tolerance
Physical	Profile Code 1152-01 33/1000 form		Dimensional tol. %10
	Color	ISO 12647-2	Naturel Transparent
	Thickness mm	TS EN 1013	1,5 -/+ %10
	Weight kg/m2	TS EN 1013	2,2 -/+ %10
	Density g/cm3	ISO 1183	1,40 - 1,50
	Glass Fiber Content %	EN 1172	25 -/+ 3
	Light Transmittance	ISO 12647-2	>75
	Flame Resistance	EN 13501-1	E S3 d0
	Water absorption % (24hr -23 oC)	ISO 62	<0,2
Thermal	Thermal Conductivity (W/m K)	DIN 51046	0 ,22
	Coefficient of Thermal Expansion (m/m/oC)	DIN 53752	30X10-6
	Term Service Temperature (oC)		-40 +120
UV RESISTANCE	EN ISO 16474-3 (color check) DE*	ASTM D4587	At the and of 165 hours of test ΔE value must be lower than 8,0 (ΔE<8.0) No structural change was observed
Mechanical	Tensile strength Mpa	EN 527	> 65
	Tensile Modulus of Elasticity Mpa	EN 527	5500 - 7500
	Elongation at break %	EN 527	1,5 - 2,5
	Flexural Strength Mpa	EN 178	> 70
	Flexural Modulus Mpa	EN 178	4500 - 6500
	Barcol Hardness	EN 59	40 - 50

KEN İNŞAAT İTHALAT İHRACAT YAPI SAN. VE TİC. LTD. ŞTİ. Fetih Mah. Demiray Sk. No.18/A1 Ataşehir/İSTANBUL Ümraniye V.D. 544 059 5543

AR.FR.001 / 01 / 16.01.2016

MEAMA
Collect

ქვეიჯარის ხელშეკრულება N34001002692/01.05.2025

ქ. თბილისი,

2025 წელი

MEAMA FRANCHISE

ქვეიჯარის ხელშეკრულება

წინამდებარე ქვეიჯარის ხელშეკრულება N34001002692/01.05.2025 (შემდგომში **„ხელშეკრულება“**) დადებულია 2025 წლის 01 მაისს (შემდგომში **„ხელშეკრულების დადების თარიღი“**) შემდეგ მხარეებს შორის:

(1) **ინდივიდუალური მეწარმე ბესარიონ დაუშვილი** *(შემდგომში მოხსენიებული როგორც „ქვემეიჯარე“)*

დასახელება:	ინდივიდუალური მეწარმე ბესარიონ დაუშვილი
საიდენტიფიკაციო ნომერი:	34001002692
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზ., N 78ა, ბ. 163

(2) **შპს „მეამა ფრენშაიზი“** *(შემდგომში მოხსენიებული როგორც **„ქვემოიჯარე“**)*

დასახელება:	შპს „მეამა ფრენშაიზი“
საიდენტიფიკაციო ნომერი:	406324259
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, გივი ამილახვარის ქუჩა, N 2
წარმომადგენელი:	ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი
პირადი ნომერი:	01008043311
პოზიცია:	დირექტორი

შემდგომში ქვემეიჯარე და ქვემოიჯარე ერთობლივად მოხსენიებულნი არიან როგორც **„მხარეები“**, ხოლო ცალ-ცალკე როგორც **„მხარე“**.

ვინაიდან, ქვემოიჯარის სურვილია საკუთარი საქმიანობის წარმართვისა და გამართულად ფუნქციონირების მიზნებისათვის, მიიღოს დროებით სარგებლობასა და მფლობელობაში წინამდებარე ხელშეკრულების საგანი მასზე სავაჭრო ობიექტის ე.წ „კონტეინერისა“ და დამხმარე ინვენტარის განთავსების მიზნით.

ვინაიდან, ქვემეიჯარის განცხადებით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება მიღებული აქვს ფაქტობრივ მფლობელობაში/სარგებლობაში და გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება, რაც დასტურდება ინდივიდუალურ მეწარმე ბესარიონ დაუშვილსა და საიჯარო ფართის მესაკუთრეს, შპს „ბიზნესს“ (ს/კ: 201943040) შორის გაფორმებული 2023 წლის 01 მაისის იჯარის ხელშეკრულებითა და ინდივიდუალურ მეწარმე ბესარიონ დაუშვილსა და საიჯარო ფართის მესაკუთრეს, შპს „ბიზნესს“ (ს/კ: 201943040) შორის 2025 წლის 28 აპრილს გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმებით.

ვინაიდან, წინამდებარე ხელშეკრულების მიზანია ხელშემკვრელ მხარეთა შორის მომავალი თანამშრომლობისათვის ძირითადი წესებისა და პრინციპების ჩამოყალიბება მათი შემდგომი გამოყენებისათვის.

1. ინტერპრეტაცია

1.1. დანართ(ებ)ი (არსებობის შემთხვევაში) წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და აქვს ხელშეკრულების ძირითადი ტექსტის იდენტური იურიდიული ძალა. ნებისმიერი მითითება წინამდებარე ხელშეკრულებაზე მოიცავს დანართ(ებ)საც.

1.2. თუ კონტექსტით სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული, მხოლობით რიცხვში დასახელებული სიტყვები მოიცავს მრავლობითს და მრავლობითი მოიცავს მხოლობითს.

1.3. მხარეზე მითითება გულისხმობს მითითებას მის წარმომადგენელზე, მემკვიდრესა და უფლებამონაცვლეზე.

1.4. მითითება წერილობით შეტყობინებაზე მოიცავს მატერიალური სახით მიმოცვლილ კორესპონდენციასა და ელ-ფოსტას.

1.5. მესამე პირი გულისხმობს ნებისმიერ სხვა პირს გარდა ქვემოიჯარისა და ქვემეიჯარისა.

1.6. სამუშაო დღე ნიშნავს ნებისმიერ დღეს შაბათის, კვირის ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული ოფიციალური დასვენების/უქმე დღეების გარდა.

1.7. ნებისმიერი სიტყვა, რომელიც გამოიყენება ტერმინების „მათ შორის“, „მოიცავს“, „კონკრეტულად“, „მაგალითად“ ან/და ნებისმიერი სხვა მსგავსი ტერმინების შემდეგ, უნდა იქნას გაგებული, როგორც საილუსტრაციო მაგალითი და არ უნდა შეზღუდოს წინა სიტყვის, განმარტების, დეფინიციის, ფრაზის ან/და ტერმინის მნიშვნელობა.

1.8. ხელშეკრულების მიზნებისთვის „ქვემეიჯარის“ დეფინიციაში მოცულ პირზე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება სრულად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი პირის სამართლებრივი სტატუსიდან (ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი) გამომდინარე კონკრეტული პირობა ვერ გავრცელდება ამგვარ პირზე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, ქვემეიჯარე კისრულობს ვალდებულებას გადასცეს ქვემოიჯარეს წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.1 პუნქტით გათვალისწინებული ფართი (შემდგომში **„საიჯარო ფართი“**) დროებით სარგებლობაში სავაჭრო ობიექტის ე.წ „კონტეინერისა“ და დამხმარე ინვენტარის (შემდგომში **„კონტეინერი“**) განსათავსებლად, ხოლო ქვემოიჯარე კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს შესაბამისი საფასური/ანაზღაურება (შემდგომში **„საიჯარო ქირა“**) წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის შესაბამისად.

3. ქვეიჯარის ძირითადი და სპეციფიური პირობები

3.1. ქვეიჯარის ძირითად პირობებს წარმოადგენს შემდეგი:

3.1.1. ქვემეიჯარე გასცემს, ხოლო ქვემოიჯარე კონტეინერისა და დამხმარე ინვენტარის განთავსების მიზნით, ქვეიჯარის ხელშეკრულებით იღებს შემდეგ ფართს:

3.1.1.1 მისამართი: ქალაქი თბილისი, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო, 2 / ქალაქი თბილისი, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპირო, კორტების მიმდებარედ

3.1.1.2 საკადასტრო კოდი: 01.18.03.003.023

3.1.1.3 ფართობი: 441.00 კვ.მ-ის ოდენობით, რომლის ზუსტი მდებარეობა განსაზღვრულია ხელშეკრულებაზე თანდართული ნახაზით, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას დანართი N 1-ის სახით.

3.1.2. მხარეები თანხმდებიან, რომ საიჯარო ფართზე განთავსებული კონტეინერისა და დამხმარე ინვენტარის გამოყენება მოხდება ქვემოიჯარის პროდუქციის რეალიზაციის/კომერციული მიზნებისთვის და შესაბამისად, საიჯარო ფართზე განთავსდება ქვემოიჯარის ობიექტი. შესაბამისად, კონტეინერს შესაბამისი პროდუქციით, მათ შორის ყავის სახეობით (ყავის მარცვლები, ყავის კაფსულები და ა.შ.) (შემდგომში „**პროდუქცია**“) უზრუნველყოფას, საჭირო მარაგების მობილიზაციასა და საიჯარო ფართში მათ მიწოდებას მოახდენს ქვემოიჯარე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საიჯარო ფართზე კონტეინერის განთავსებასა და აღნიშნული კონტეინერის/ობიექტის ფუნქციონიერებას სრულად და დამოუკიდებლად განახორციელებს ქვემოიჯარე. ამასთან, ქვემეიჯარე ვალდებულია არ შეუშალოს ხელი, არ შეაფერხოს ან/და სხვა რაიმე ფორმით არ დააყოვნოს ქვემოიჯარე კონტეინერის პროდუქციით მომარაგების პროცესში (მათ შორის და არა მხოლოდ, არ შეაფერხოს პროდუქციის საიჯარო ფართში შეტანის/განთავსების პროცესი) ან/და რაიმე სხვა ფორმით არ შეაფერხოს ქვემოიჯარის ოპერირება საიჯარო ფართზე. მხარეები თანხმდებიან რომ კონტეინერი წარმოადგენს ქვემოიჯარის საკუთრებას.

3.1.3. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერის გზით, ქვემეიჯარე ადასტურებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მისი გაუფრთხილებელი ან/და ბრალეული ქმედების გამო დაზიანდება, პრობლემა შეექმნება, მწყობრიდან გამოვა კონტეინერი, ასეთ შემთხვევაში მის გამოსწორებაზე/აღმოფხვრაზე სრულ პასუხისმგებლობას (როგორც მატერიალურს, ისე არამატერიალურს) სრულად იღებს ქვემეიჯარე. იმ შემთხვევაში, თუ ქვემეიჯარე ვერ უზრუნველყოფს გამოწვეული პრობლემის აღმოფხვრას საკუთარი რესურსით/ხარჯით, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ ქვემოიჯარემ აღმოფხვრას დასახელებული ხარვეზი, თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში ქვემოიჯარეს ეძლევა უფლება გამოქვითოს პრობლემის აღმოსაფხვრელად გაწეული ხარჯი საიჯარო ქირიდან.

3.1.4. საიჯარო ფართზე განთავსებული ქვემოიჯარის ამ კონკრეტული კონტეინერის/ობიექტის ფუნქციონირებისათვის საჭირო კომუნალური სერვისის გადასახადებსა და აღრიცხვის წერტილის მოსაწყობად აუცილებელ თანხებს გადაიხდის ქვემოიჯარე. ქვემოიჯარე უფლებამოსილია საკუთარი სურვილის შემთხვევაში მოითხოვოს ყველა კომუნალური სერვისის პროვაიდერში აბონენტად/ქვეაბონენტად რეგისტრაცია, შესაბამისი მრიცხველების მოწყობა და ა.შ, ასეთი გადაწყვეტილების ქვემოიჯარის მხრიდან მიღების შემთხვევაში, ქვემეიჯარემ უნდა გასცეს შესაბამისი თანხმობა, ნებართვა და განახორციელოს ყველა საჭირო პროცედურა აღნიშნულისათვის.

3.2. ქვეიჯარის სპეციფიკური პირობა:

3.2.1. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერის გზით, მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან კონტეინერის/საიჯარო ფართზე განთავსებული

ობიექტის ფუნქციონირების საშუალებით მიღებული სრული შემოსავალი/მთლიანი თანხა (შემდგომში „**შემოსავალი**“) ეკუთვნის ქვემოიჯარეს. ქვემოიჯარის მიერ ქვემეიჯარეს მიეცემა საიჯარო ქირა, რომლის ოდენობა და გადახდის წესი გათვალისწინებულია ხელშეკრულების მე-4 მუხლით.

3.3. იმ შემთხვევაში, თუ ქვემეიჯარისთვის შეუძლებელი ხდება ან მნიშვნელოვნად რთულდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, იგი ვალდებულია აღნიშნული ხელშემშლელი გარემოების დადგომიდან გონივრულ ვადაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს გარემოების დადგომიდან 5 (ხუთი) კალენდარულ დღეს, წერილობით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომუნიკაციის წესის შესაბამისად აცნობოს ქვემოიჯარეს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის/მნიშვნელოვანი გართულების შესახებ.

3.4. ქვემეიჯარემ არ უნდა განახორციელოს ისეთი ქმედება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს წინამდებარე ხელშეკრულებით და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა, რაც მათ შორის და არა მხოლოდ დაკავშირებულია სხვა ფიზიკური და იურიდიული პირების ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევასთან.

3.5. ქვემეიჯარე ვალდებულია ქვემოიჯარეს წარმოუდგინოს და გადასცეს, მასსა (ქვემეიჯარე) და შპს „ბიზნესს“ (ს/კ: 201943040) შორის გაფორმებული 2023 წლის 01 მაისის ძირითადი იჯარის ხელშეკრულება და აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული 2025 წლის 28 აპრილის საიჯარო ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმება. ქვემოიჯარე უფლებამოსილია წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ძირითადი იჯარის ხელშეკრულება ან/და ნებართვა/თანხმობა წარადგინოს ქალაქ თბილისის მერიის მუნიციპალიტეტში, პროექტის შეთანხმებისა და ნებართვის მოპოვების მიზნით.

4. საიჯარო ქირა და ანგარიშსწორების წესი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ფართის სარგებლობის სანაცვლოდ ქვემოიჯარე ვალდებულია ქვემეიჯარეს გადაუხადოს ყოველთვიური საიჯარო ქირა 1 (ერთი) წლის პერიოდზე 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით) ოდენობით. საიჯარო ქირა ყოველთვიურად შეადგენს 4 166,67 (ოთხი ათას ას სამოცდაექვსი ლარი და სამოცდაშვიდი თეთრი) ლარს (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით).

4.2. საიჯარო ქირა ქვემეიჯარისთვის ქვემოიჯარის მიერ გადახდილი უნდა იქნეს ყოველთვიურად, არაუგვიანეს ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო კალენდარული თვის 10 რიცხვისა.

წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, ქვემოიჯარე ვალდებულია გადაიხადოს პირველი და ბოლო თვეების საიჯარო ქირის ჯამური ოდენობა, შესაბამისი საშეღავათო პერიოდის გათვალისწინებით.

4.3. მხარეები თანხმდებიან, რომ მას შემდეგ, რაც ქვემოიჯარე მოიპოვებს შესაბამის ნებართვას ქალაქ თბილისის მერიის მუნიციპალიტეტისგან, ქვემეიჯარე ვალდებულია, მას (ქვემოიჯარე) საიჯარო ფართი გადასცეს გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში 10 (ათი)

დღის ვადაში. ქვემოიჯარის მიერ საიჯარო ფართით სარგებლობის დაწყებიდან პირველი 10 (ათი) დღე განისაზღვრება საშეღავათო პერიოდად (შემდგომში **„საშეღავათო პერიოდი"**). აღნიშნული გულისხმობს, რომ საშეღავათო პერიოდის განმავლობაში ქვემოიჯარე თავისუფლდება საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულებისგან.

4.4. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული საიჯარო ქირა ქვემოიჯარის მიერ ქვემეიჯარისთვის გადახდილ უნდა იქნეს უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ქვემეიჯარის შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით:

ბანკი:	სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი:	BAGAGE22
საბანკო ანგარიში:	GE18BG0000000103055711

5. განცხადებები და გარანტიები

5.1. **ქვემეიჯარე აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:**

5.1.1. ხელშეკრულების დადების/ხელმოწერის დროისთვის არის ქმედუნარიანი (მათ შორის და არა მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით შექმნილი და რეგისტრირებული).

5.1.2. ხელშეკრულების დადების/ხელმოწერისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის იგი იცავს და დაიცავს ნებისმიერი იმ გარიგების პირობებს, ან/და სხვა ვალდებულებებს, რომელთა შეუსრულებლობამაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს ქვემეიჯარის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

5.1.3. ხელშეკრულება იდება მის მიერ ნებაყოფლობით, მეორე მხარის ან/და მესამე პირის მხრიდან მის (ქვემეიჯარის) მიმართ ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის ან/და რაიმე სხვა გარემოების გამოყენების გარეშე.

5.1.4. მისი ქმედება არ არის/იქნება მიმართული მეორე მხარის მოტყუებისაკენ. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით ხელშეკრულების დასადებად ან/და მის საფუძველზე და შესასრულებლად, მის მიერ მეორე მხარისთვის წარდგენილი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია მისი წარმოდგენის მომენტისათვის ასევე არის/იქნება უტყუარი, ზუსტი და სრული. ამასთანავე, მისთვის ცნობილია, რომ ყალბი დოკუმენტების ან/და ინფორმაციის მიწოდება კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს დასჯად ქმედებას.

5.1.5. გაეცნო წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, მისთვის ცნობილია ხელშეკრულების შინაარსი, აღწერა, კატეგორია, მოცულობა და სირთულე და წინამდებარე ხელშეკრულლების ხელმოწერით აცხადებს, რომ მას გააჩნია ყველა საჭის შესაძლებლობა, ნებართვა, თანხმობა და საშუალება, რათა შეასრულოს ვალდებულებები კანონმდებლობისა და წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნათა სრული დაცვით.

5.2. **ქვემოიჯარე აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:**

5.2.2. მიაწვდის ქვემეიჯარეს ყველა მონაცემს და ინფორმაციას, რომელიც გააჩნია ქვემოიჯარეს და გაუწევს მას ყველა გონივრულ დახმარებას, რომელიც შეიძლება დასჭირდეს ქვემოიჯარეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისთვის.

5.3. მხარეები იღებენ პასუხისმგებლობას, კეთილსინდისიერად, დროულად და ჯეროვნად შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულებით მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებები.

5.4. მხარე დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით აცნობებს მეორე მხარეს ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ ინფორმაციას, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მის აღნიშნულ განცხადებებთან და გარანტიებთან ან/და გამოიწვიოს მათი დარღვევა. ასევე, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას.

5.5. მხარეთა წინამდებარე განცხადებები და გარანტიები ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად ხელშეკრულების ან/და საიჯარო ურთიერთობის სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა.

6. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

6.1. ქვემეიჯარე უფლებამოსილია:

6.1.1. მოსთხოვოს ქვემოიჯარეს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება.

6.1.2. ქვემოიჯარისგან მოითხოვოს და მიიღოს ვალდებულების შესრულებისთვის საჭირო ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია.

6.2. ქვემოიჯარე უფლებამოსილია:

6.2.1. მოსთხოვოს ქვემეიჯარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება.

6.2.2. მოითხოვოს ხელშეკრულების ვადამდე დაუყოვნებლივ შეწყვეტა, თუ საიჯარო ფართი გამოუსადეგარი გახდა იმ გარემოებათა გამო, რომლისთვისაც ქვემოიჯარეს პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

6.2.3. განახორციელოს საიჯარო ფართისა და კონტეინერის როგორც გეგმიური, ისე არაგეგმიური შემოწმება. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, გეგმიური შემოწმება გულისხმობს ქვემეიჯარის წინასწარი გაფრთხილების საფუძველზე განხორციელებულ შემოწმებას თავად ან მესამე პირის საშუალებით, ხოლო არაგეგმიური შემოწმება გულისხმობს გაფრთხილების გარეშე შემოწმების განხორციელებას თავად ან მესამე პირის საშუალებით.

6.2.4. მესამე პირებისგან ან/და ქვემეიჯარისგან მოითხოვოს და მიიღოს ვალდებულების შესრულებისთვის საჭირო ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია.

6.2.5. ქვემეიჯარის თანხმობის გარეშე, საკუთარი შეხედულებისამებრ ქვეიჯარით გასცეს წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.1. პუნქტით განსაზღვრული საიჯარო ფართი. მხარეები თანხმდებიან, რომ ქვეიჯარის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც

ქვემოიჯარე ქვეიჯარით გასცემს იჯარის საგანს, არის ნამდვილი და წარმოშობს სამართლებრივ შედეგს მიუხედავად ქვემეიჯარის თანხმობის არსებობის ან/და მის (ქვემეიჯარე) მიერ აღნიშნული გარიგების მოწონებისა.

6.3. **ქვემოიჯარე ვალდებულია:**

6.3.1. არ განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც შეზღუდავს ან შეუძლებელს გახდის ქვემეიჯარისათვის საჭირო ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის მიწოდებას და არ მიმართოს ისეთ ქმედებებს, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს ქვემეიჯარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას. ამასთან, არ შეაფერხოს ქვემეიჯარის მიერ საიჯარო ფართს მიღმა არსებული, ქვემეიჯარის კანონიერ მფლობელობაში არსებული ტერიტორიითა ან/და ნივთებით სარგებლობა.

6.3.2. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს ქვემეიჯარე ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაციით.

6.3.3. ყოველთვიურად გადაიხადოს საიჯარო ქირა ხელშეკრულების მე-4 მუხლის შესაბამისად. ეს ვალდებულება ვრცელდება ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან მის შეწყვეტამდე.

6.3.4. ხელშეკრულების ვადის გასვლიდან ან მისი ვადამდე შეწყვეტიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში საკუთარი ხარჯით მოახდინოს საიჯარო ფართიდან კონტეინერის დემონტაჟი/გატანა.

6.4. **ქვემეიჯარე ვალდებულია:**

6.4.1. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

6.4.2. ვალდებულება შეასრულოს კანონმდებლობით და საყოველთაოდ აღიარებული და პრაქტიკაში დამკვიდრებული მოქმედი წესებისა და რეგლამენტების შესაბამისად.

6.4.3. ქვემოიჯარეს გონივრულ ვადებში მიაწოდოს ქვემოიჯარის მიერ მოთხოვნილი და მის ხელთ არსებული ინფორმაცია.

6.4.4. უზრუნველყოს კონტეინერი და დამხმარე ინვენტარი მუდმივი დენის წყაროთი, ასევე, უზრუნველყოს მისი წყლით მომარაგება ცენტრალურ წყლის სისტემაზე დაერთებით. იმ შემთხვევაში, თუ უწყვეტი მომარაგება ცენტრალური სისტემიდან შეუძლებელია, უნდა უზრუნველყოს ალტერნატიული საშუალების გამოყენება, რომელიც კონტეინერს უწყვეტ რეჟიმში მიაწვდის წყალს.

6.4.5. ქვემეიჯარის ბრალეული/გაუფრთხილებელი ქმედებით კონტეინერის დაზიანებისას ქვემეიჯარე ვალდებულია აანაზღაუროს ტექნიკური მომსახურეობის (შეკეთების) საფასური სრულად ქვემოიჯარის მიერ გაგზავნილი ინვოისის მიღებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც კონტეინერის დაზიანება გამოწვეულია ქვემოიჯარის მომხმარებლის ქმედების შედეგად.

6.4.6. არ განათავსოს სხვა ბრენდის ყავის აპარატები, სავაჭრო მოწყობილობები/აპარატები, სხვა ყავის სავაჭრო ობიექტები ან/და ყავის პროდუქტები ქვემოიჯარის კონტეინერის მიმდებარედ, აგრეთვე არ განათავსოს ქვემოიჯარის კონკურენტი კომპანიების პრომო მასალა კონტეინერის მახლობლად/მიმდებარე ტერიტორიაზე.

6.4.6. არ განათავსოს სხვა ბრენდის ყავის აპარატები, სავაჭრო მოწყობილობები/აპარატები, სხვა ყავის სავაჭრო ობიექტები ან/და ყავის პროდუქტები ქვემოიჯარის კონტეინერის მიმდებარედ, აგრეთვე არ განათავსოს ქვემოიჯარის კონკურენტი კომპანიების პრომო მასალა კონტეინერის მახლობლად/მიმდებარე ტერიტორიაზე.

6.4.7. გაუფრთხილდეს ქვემოიჯარის ბრენდს, სასაქონლო ნიშანსა და ბრენდულ ინვენტარს.

6.4.8. ქვემოიჯარესთან წინასწარი შეთანხმების გარეშე არ გადაადგილოს კონტეინერი ან/და ნებისმიერი დამხმარე ინვენტარი იმ ადგილიდან, სადაც იგი თავდაპირველად განთავსდება ქვემოიჯარისა და ქვემეიჯარის შეთანხმებით.

6.4.9. არ შეაფერხოს ქვემოიჯარის ან/და მისი წარმომადგენლის მიერ გეგმიური თუ არაგეგმიური შემოწმების განხორციელება, ამასთან შეუქმნას სათანადო პირობები მას ტექნიკური შემოწმების განსახორციელებლად, მიაწოდოს ყველა საჭირო ცნობა/ინფორმაცია და მის ხელთ არსებული რესურსი.

6.4.10. ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგაც, არ გაამჟღავნოს ან/და მესამე პირ(ებ)ს არ გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულებაში, მის დანართებში ან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული კომერციული პირობები, ნებისმიერ დანართი, მიღება-ჩაბარების დოკუმენტი და სხვა ინფორმაცია, რომელსაც მხარეები გაცვლიან ერთმანეთში.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მისი მოქმედების ვადა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2025 წლის 01 მაისს და მოქმედებს 2 (ორი) წლის განმავლობაში, 2027 წლის 01 მაისის ჩათვლით (შემდგომში **„ხელშეკრულების მოქმედების ვადა“**).

7.2. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლოა ვადამდე შეწყდეს:

7.2.1. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

7.2.2. ქვემოიჯარის ინიციატივით ცალმხრივად ქვემეიჯარისათვის შეწყვეტამდე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით, ამ შემთხვევაში ქვემოიჯარე აუნაზღაურებს ქვემეიჯარეს შეწყვეტის თარიღამდე გადასახდელ საიჯარო ქირას. იმ შემთხვევაში, თუ საიჯარო ქირის თანხა ქვემოიჯარის მიერ გადახდილია წინსწრებითა და მეტობით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის მომენტში, ქვემეიჯარე ვალდებულია დაუბრუნოს ქვემოიჯარეს მის მიერ მიღებული თანხისა და ფაქტობრივად არსებული საიჯარო ურთიერთობის საზღაურის (რომელიც გამოანგარიშდება სრული ანაზღაურების პროპორციულად) სხვაობა.

7.2.3. ქვემეიჯარის ინიციატივით. ქვემეიჯარემ წერილობით უნდა შეატყობინოს ქვემოიჯარეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილება, შეწყვეტამდე არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღით ადრე. იმ შემთხვევაში, თუ საიჯარო ქირა ქვემოიჯარის მიერ გადახდილია წინსწრებითა და მეტობით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის მომენტში, ქვემეიჯარე ვალდებულია

დაუბრუნოს ქვემოიჯარეს მის მიერ მიღებული თანხისა და ფაქტობრივად არსებული საიჯარო ურთიერთობის საზღაურის (რომელიც გამოანგარიშდება სრული ანაზღაურების პროპორციულად) სხვაობა.

7.2.4. საქართველოს კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

7.3. იმ შემთხვევაში, თუ საიჯარო ქირა ქვემოიჯარის მიერ გადახდილია წინსწრებითა და მეტობით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის მომენტში, ქვემეიჯარე ვალდებულია დაუბრუნოს ქვემოიჯარეს მის მიერ მიღებული თანხისა და ფაქტობრივად არსებული საიჯარო ურთიერთობის საზღაურის (რომელიც გამოანგარიშდება სრული ანაზღაურების პროპორციულად) სხვაობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ყველა და ნებისმიერი ზიანი კანონმდებლობით ან/და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, ამასთან, მხარის მიერ ზიანის ანაზღაურება არ ათავისუფლებს შესაბამის მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის სრულად შესრულებისაგან.

9. ფორს-მაჟორი

9.1. თუ ნებისმიერი ბუნებრივი მოვლენების ან სხვა მიზეზით, რომელიც სცდება მხარის გონივრულ კონტროლს, მათ შორის და არამხოლოდ ხანძარი, მიწისძვრა, ელვა, წყალდიდობა, აფეთქება, შტორმი, უამინდობა, მეწყერი ან ნებისმიერი სხვა ბუნებრივი მოვლენა, სანავიგაციო ან/და სხვა სახის ნებისმიერი უბედური შემთხვევა, გაფიცვები, ლოკაუტი, სარკინიგზო მაგისტრალების, სანავიგაციო ან/და სხვა სატრანსპორტო მექანიზმების გადაკეტვა, საომარი ქმედებები (გამოცხადებული ან გამოუცხადებელი), საზოგადოებრივი მობილიზაცია, პროდუქტის შეყოვნება ან/და ემბარგოების, ბლოკადის, ტერორიზმის, დივერსიული ან სამოქალაქო მტრების მოქმედება, ომი, ნებისმიერი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ქმედება ან უმოქმედობა, პანდემია, ნებისმიერი სამთავრობო ორგანოს ნებისმიერი ბრძანების, მოთხოვნის ან დირექტივის კეთილსინდისიერად დაცვა, მარაგების შემცირება, უკმარისობა ან შეწყვეტა, რომელიმე მხარის გონივრულ კონტროლს მიღმა, ან რომელიმე სხვა მიზეზი, რომელიც აგრეთვე არის მხარის გონივრულ კონტროლს მიღმა, ზემოხსენებული მსგავსი თუ განსხვავებული, განჭვრეტადი თუ გაუთვალისწინებელი (შემდგომში **„ფორსმაჟორული გარემოება“**) მიზეზების გამო, რომელიმე მხარე მთლიანად ან ნაწილობრივ ვერ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკუთარ ვალდებულებებსა და მოვალეობებს (შემდგომში **„დაზარალებული მხარე“**), ასეთი მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა, შეატყობინოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების წარმოშობის შესახებ.

მხარეები თანხმდებიან, რომ დაზარალებული მხარე არ ჩაითვლება ხელშეკრულების დამრღვევ მხარედ მისი ვალდებულებების განგრძობითი შეუსრულებლობის გამო.

3. დაზარალებული მხარე ვალდებულია მიმართოს მის ხელთ არსებულ ყველა კომერციულად გონივრულ ძალისხმევას, რათა თავიდან აიცილოს მიზეზი ან მიზეზები, რომლებიც მას ხელს შეუშლის წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში, იმის გათვალისწინებით, რომ გაფიცვების, ლოკაუტებისა თუ სხვა ნებისმიერი საწარმოო დავის გადაწყვეტა წარმოადგენს დაზარალებული მხარის ექსკლუზიური დისკრეციის საკითხს.

9.4. ფორსმაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევაში მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევს აღნიშნული ფორსმაჟორული გარემოებების მოქმედების ვადის შესაბამისად.

9.5. თუ ფორს-მაჟორული გარემოება გაგრძელდება 2 (ორი) თვეზე მეტი ვადით, მხარეები ვალდებული არიან გადაწყვიტონ ხელშეკრულების გაგრძელების საკითხი.

10. კომუნიკაცია მხარეთა შორის

10.1. ნებისმიერი შეტყობინება, სერთიფიკატი, თანხმობა, დადასტურება, გადაწყვეტილება ან/და სხვა სახის შეტყობინება, რომელიც საჭიროა ან/და ნებადართულია მოცემული ხელშეკრულების შესაბამისად, ჩაითვლება, რომ განხორციელებულია ჯეროვნად, თუ: (ა) პირადად გადაეცემა მიმღებ მხარეს, (ბ) გაიგზავნება წინასწარ გადახდილი საკურიერო მომსახურებით ან რეგისტრირებული საფოსტო გზავნილით ან (გ) ელექტრონული ფოსტით ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვა მსგავსი საშუალებებით. ფოსტით გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება ჩაითვლება შესრულებულად, თუ იგი მეორე მხარის მიერ მიღებულია მისი გაგზავნიდან მეხუთე სამუშაო დღეს, თუმცა, იმ პირობით, რომ ასეთი კომუნიკაცია არ გაიგზავნება საფოსტო მომსახურების ფაქტობრივი ან სავარაუდო შეფერხების დროს. ნებისმიერი სხვა სახით განხორციელებული შეტყობინების გაგზავნა ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შეტყობინების ფაქტობრივი მიღებისა და დადასტურების შემდგომ.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მისამართის ან ელ. ფოსტის მისამართის ცვლილების თაობაზე ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე/ელ.ფოსტის მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება წინამდებარე ხელშეკრულების 10.1. პუნქტის გათვალისწინებით.

10.3. მხარეთა შორის არსებული ყველა და ნებისმიერი ელექტრონული შეტყობინება, მხარის მიერ მისი მიღებისთანავე უნდა დადასტურდეს დაუყოვნებლივ. ელექტრონული შეტყობინების მხარის მიერ დაუდასტურებლობის შემთხვევაში, ელექტრონული შეტყობინება მიღებულად/ჩაბარებულად ჩაითვლება ელექტრონული შეტყობინების გაგზავნის დღის მომდევნო სამუშაო დღეს.

11. კონფიდენციალურობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებისას მხარეებს აქვთ მოლოდინი, რომ ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია გაუმხილოს მეორე მხარესა და მის მენეჯერებს, დირექტორებს, იურიდიულ მრჩევლებსა და აუდიტორებს (შემდგომში **„წარმომადგენლები“**) გარკვეული

ჭნიკური და კომერციული ინფორმაცია, ინფორმაცია სახელშეკრულებო ურთიერთობებზე, მომავლო სახელშეკრულებო ურთიერთობებზე, მარკეტინგულ გეგმაზე, ფინანსებზე, როდუქტებზე, მომსახურებებზე, მომხმარებლებზე, პოტენციურ მომხმარებლებზე, ვასწარმოებისა თუ სხვა ხარჯების სტრუქტურებზე, სავაჭრო საიდუმლოებზე, ნოუ ჰაუზე, ონაცემებზე, მასალებსა და სხვა ინფორმაციაზე ასეთი მხარის შესახებ, რომელსაც ეს მხარე მიიჩნევს კონფიდენციალურ ან საკუთარ ინფორმაციად (შემდგომში **„კონფიდენციალური ინფორმაცია"**). ამდენად, მხარეები თანხმდებიან:

11.1.1. გაუმხილონ ასეთი კონფიდენციალური ინფორმაცია მხოლოდ იმ წარმომადგენლებს, ვისაც ამგვარი ინფორმაციის ცოდნა ესაჭიროებათ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად.

11.1.2. მოითხოვონ, რომ მხარეების თითოეული წარმომადგენელი, რომელსაც ხელი მიუწვდება კონფიდენციალურ ინფორმაციასთან, იაზრებს და თანხმდება დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები.

11.1.3. არ გაუმჟღავნოს ასეთი კონფიდენციალური ინფორმაცია არც ერთ მესამე ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირს მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.1.4. დაიცვას ასეთი კონფიდენციალური ინფორმაცია მისი მომდევნო გამჟღავნებისგან იმავე წესით, როგორითაც მხარე იცავს საკუთარ ინფორმაციას (მაგრამ არავითარ შემთხვევაში არანაკლებ ზრუნვის გონივრული სტანდარტით).

11.1.5. სრულად აგოს პასუხი თავისი წარმომადგენლების მიერ წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევაზე.

11.1.6. არ გაამჟღავნოს წინამდებარე ხელშეკრულების არსებობა ან/და მოლაპარაკება ან/და მისგან კონფიდენციალური ინფორმაციის გასაჯაროების საფუძველზე განხორციელებული ტრანზაქცია მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.2. მხარეების ზემოაღნიშნული ვალდებულებები არ ვრცელდება კონფიდენციალურ ინფორმაციაზე, თუ:

11.2.1. ასეთი კონფიდენციალური ინფორმაცია გამჟღავნდა ინფორმაციის გადამცემი მხარის მიერ საჯაროდ ინფორმაციის გადამცემი მხარის მხრიდან დარღვევისა ან ვალდებულების შეუსრულებლობის გარეშე.

11.2.2. ასეთი კონფიდენციალური ინფორმაცია გამჟღავნდა და გახდა ცნობილი ასეთი მხარისთვის მესამე პირისთვის გამჟღავნების შედეგად, ასეთი მხარის ან/და მესამე პირის ბრალეული ქმედების გარეშე.

11.2.3. გამხელა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, სასამართლოს ან/და ნებისმიერი სხვა კომპეტენტური ორგანოს სავალდებულო გადაწყვეტილების ან/და ბრძანების შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ მხარე ვალდებულია გაამხილოს ასეთი ინფორმაცია დასაშვებ ზღვრამდე, წინასწარ შეატყობინოს მეორე მხარეს ასეთი გამჟღავნების შესახებ და მიმართოს ყველა გონივრულ ძალისხმევას, რათ მინიმუმამდე დაიყვანოს გამჟღავნების ვალდებულება.

11.2.4. გამხელა აუცილებლია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისთვის.

11.3. თითოეული მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებისა ან/და დაკარგვის, მათ შორის ასეთი გამჟღავნების ან/და დაკარგვის საფრთხის შესახებ.

ქვეიჯარის ხელშეკრულება

12. ინტელექტუალური სამართალი

12.1. მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის უფლება, მათ შორის და არამხოლოდ ყველა დიზაინი, პატენტი, ქონებრივი საავტორო უფლება, სავაჭრო ნიშანი და ყველა სხვა ინტელექტუალური საკუთრება არის ექსკლუზიურად ქვემოიჯარის საკუთრება და მისი რეპროდუცირება, მესამე მხარისთვის ჩვენების უფლება ან/და სხვა ნებისმიერი ქმედების უფლება აქვს მხოლოდ ქვემოიჯარეს. აღნიშნული ჩანაწერი ძალაში რჩება უვადოდ მიუხედავად წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის საფუძვლისა.

12.2. წინამდებარე ხელშეკრულების 12.1 პუნქტით გათვალისწინებული ქვემოიჯარის უფლება ვრცელდება ქვემოიჯარის მიერ პროდუქციასთან/ინვენტართან/ნივთთან/კონტეინერთან დაკავშირებულ ნებისმიერ ცვლილებაზე, ახალ პროდუქტზე/ინვენტარზე/ნივთზე.

12.3. ქვემეიჯარე არ გამოიყენებს რაიმე ნოუ-ჰაუს, ტექნოლოგიას ან რაიმე ინფორმაციას (მისთვის ასეთი ინფორმაციის ნებისმიერი სახით გაცნობის შემთხვევაში), უფლებას ქვემოიჯარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

12.4. ქვემეიჯარის მიერ წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, ქვემეიჯარე ვალდებულია ქვემოიჯარეს აუნაზღაუროს ზიანი მიყენებული ზიანის პროპორციულად.

13. პრეტენზიები და დავები

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება და ნებისმიერი დავა ან/და მოთხოვნა (მათ შორის არასახელშეკრულებო დავა და მოთხოვნა), რომელიც წარმოიშობა, გამომდინარეობს ან/და დაკავშირებულია ამ ხელშეკრულებასთან, უნდა გადაწყდეს/განიმარტოს/დარეგულირდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2. თითოეული მხარე გამოუხმობადად თანხმდება, რომ ყველა დავა, რომელიც წარმოიქმნება მხარეებს შორის წინამდებარე ხელშეკრულებასთან ან/და მის რომელიმე დებულებასთან დაკავშირებით, გადაწყდება მხარეებს შორის ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე, ხოლო მოლაპარაკების გზით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. სხვა დებულებები

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს მხარეთა მთლიან შეთანხმებას, იგი უპირატესია და ანაცვლებს მხარეების ყველა წერილობით თუ ზეპირ, წინა თუ ურთიერთგამომრიცხავ განცხადებას, გარანტიას, თუ შეთანხმებას ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით.

14.2. მხარეები არ არიან უფლებამოსილნი, მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მესამე პირს გადასცენ ან გადააბარონ მათზე ხელშეკრულებით ნაკისრი რომელიმე ვალდებულება ან მინიჭებული უფლება. მეორე მხარის უარი გამორიცხავს ნებისმიერი

ქვეყნის ხელშეკრულება

ზემოაღნიშნული ქმედების ან/და გარიგების განხორციელების შესაძლებლობას და შესაბამისად ამ წესის დარღვევით განხორციელებული ქმედება ან/და გარიგება ბათილია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, გარდა კანონმდებლობით ცალსახად განსაზღვრული შემთხვევებისა.

14.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და არის ნამდვილი და სავალდებულო ძალის მქონე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გაფორმებულია სათანადო წესით და წერილობითი ფორმით მხარეების მიერ და შეიცავს პირდაპირ მითითებას წინამდებარე ხელშეკრულებაზე.

14.4. ერთ-ერთი მხარის მხრიდან ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის სრულად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე მხარის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე.

14.5. სამართლებრივი ძალის მქონეა წინამდებარე ხელშეკრულების მხოლოდ ის ცვლილებები და დამატებები, რომლებიც შესრულებულია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14.6. ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილობა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან/და ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა მუხლების/პუნქტების ბათილობას.

14.7. წინამდებარე ხელშეკრულება სავალდებულოა მხარეებისთვის, მას აქვს სავალდებულო იურიდიული ძალა და იგი აღსრულებადია მხარეებისა და მათი ნებადართული უფლებამონაცვლეებისა და უფლების მიმღებებისათვის.

14.8. ხელშეკრულება მისი ვალდებულებებითა და უფლებებით ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეების, თუ მემკვიდრეებისათვის/სამართალმემკვიდრეებისათვის, თუ ხელშეკრულება ან/და კანონმდებლობა სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

14.9. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ან მისი ნაწილი გარკვეულწილად იქნება ძალადაკარგული ან/და არ დაექვემდებარება აღსრულებას, მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების ნებისმიერ აუცილებელ და გონივრულ შესწორებაზე, რათა უზრუნველყონ წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებული მხარეთათვის არსებითი ინტერესებისა და ძირითადი მიზნების დაცვისათვის.

14.10. ხელშეკრულების დებულებების არსებობა/არარსებობასთან, მათ შინაარსთან, განმარტებასთან ან/და განხორციელებასთან დაკავშირებით მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ქვემოიჯარესთან დაცულ ეგზემპლარს, ამასთან, ამ უკანასკნელ დებულებასთან მიმართებით ყოველგვარი ეჭვის ან/და დავის გამორიცხვის მიზნით, ქვემეიჯარე ვალდებულია ხელი მოაწეროს ხელშეკრულების ქვემოიჯარესთან დაცული ეგზემპლარის თითოეულ გვერდს, მაგრამ ქვემეიჯარეს მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობა არ ხდის ამ პუნქტით გათვალისწინებულ დებულებას საეჭვოს, სადავოს ან/და ძალადაკარგულს.

14.11. ნებისმიერი უარი ან თანხმობა, რომელიც შეეხება მხარის მიერ საკუთარი ვალდებულების შეუსრულებლობას, არ უნდა იქნეს განხილული ან/და ინტერპრეტირებული, როგორც უარი ან თანხმობა იმავე ან სხვა ვალდებულების დარღვევაზე ან შეუსრულებლობაზე. ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობაზე მეორე

ქვეიჯარის ხელშეკრულება

მხარისგან პრეტენზიის გაუცხადებლობა ან/და უმოქმედობა დამრღვევი მხარის ქმედებაზე ასევე არ უნდა განიმარტოს, როგორც დაზარალებული მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკუთარ უფლებაზე უარის თქმა. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებაზე უარის თქმა ძალაში შევა მხოლოდ მას შემდეგ, როცა იგი შესრულებულია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი არის შესაბამისი მხარის მიერ.

14.12. ქვემოიჯარემ და ქვემეიჯარემ უნდა განახორციელონ ყველა ის დამატებითი მოქმედება, რაც აუცილებელია ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. აღნიშნული მოიცავს ყველა იმ დამატებითი მოქმედების შესრულებას ან/და დოკუმენტის ხელმოწერას, რაც გონივრულ ფარგლებში მოთხოვნილი იქნება ქვემოიჯარის ან/და ქვემეიჯარის ან/და სხვა ნებისმიერი უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

14.13. წინამდებარე ხელშეკრულება არ წარედგინება სააგენტოს სარეგისტრაციოდ.

14.14. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს ორიგინალს, ხოლო ერთად - ერთსა და იმავე დოკუმენტს. იმ შემთხვევაში, თუკი რომელიმე ხელმოწერა შესრულებულია ფაქსიმილიეს ან ელ. ფოსტის გაგზავნილი „.pdf" ფორმატის დოკუმენტის მეშვეობით, იგი წარმოადგენს ასეთი მხარის (ან ვისი სახელითაც შესრულდა ასეთი ხელმოწერა) მიერ შესრულებულ ნამდვილ და სავალდებულო ძალის მქონე ხელმოწერას, როგორიც ექნებოდა სველი ხელმოწერის შემთხვევაში.

ქვემოიჯარე:

შპს „მეამა ფრენშაიზი"

დირექტორი: ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი

ხელმოწერა: _____

ქვემეიჯარე:

ინდივიდუალური მეწარმე -

ბესარიონ დაუშვილი

ხელმოწერა: _____